

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორის

**ბრძანება № 01-01/64**

თბილისი

“ 24 “ ივლისი 2019 წ.

*აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე, 46-ე და 57-ე მუხლის მე-7 პუნქტის, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, სამართლის ფაკულტეტის დებულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების, სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2019 წლის 22 ივლისის ოქმი #14-ის ამონაწერის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #11 ამონაწერის საფუძველზე

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2019 წლის 25 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის, ასისტენტ პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 23 სექტემბერს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (24, 25, 26 სექტემბერი) კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 27 სექტემბერს.

3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 3 აკადემიური პერსონალი - 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი.

### სამართლის ფაკულტეტი კერძო სამართლის კათედრა

მიმართულება - სამართალი  
დარგი/სპეციალობა - კერძო სამართალი

ქვედარგის სპეციალისტი - საკორპორაციო სამართალი  
ასოცირებული პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

ქვედარგის სპეციალისტი - ინტელექტუალური საკუთრების სამართალი  
ასოცირებული პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

### ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება  
დარგი/სპეციალობა - ფინანსები  
ასისტენტ პროფესორი - 1 სამტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს. აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- მოტივაცია, დასაბუთება ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს. აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი, პროფესორი  
გიორგი მათიაშვილი